

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 296

ქ. ბათუმი, 27 აპრილი 2015 წ

**„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის №888 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის №888 ბრძანებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანებას მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup>, 2<sup>2</sup>, 2<sup>3</sup> და 2<sup>4</sup> პუნქტები:

„2<sup>1</sup>. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში სამშენებლო ობიექტების განთავსებისათვის მშენებლობის ნებართვის მისაღებად (I კლასის ობიექტებისათვის - დაგეგმილი მშენებლობის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურებისათვის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დამატებით ციფრული ვერსიის სახით (PDF ფორმატში და SHP ფორმატში).

2<sup>2</sup>. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში სამშენებლო ობიექტების განთავსებისათვის მშენებლობის ნებართვის მისაღებად (II კლასის ობიექტებისათვის - დაგეგმილი მშენებლობის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურებისათვის) შესაბამისი განცხადების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაციის შემდგომ განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ეგზავნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს (საპროექტო დოკუმენტაცია PDF ფორმატში), ხოლო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს ეგზავნება როგორც დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით (საპროექტო დოკუმენტაცია SHP ფორმატში, წერტილოვანი, ხაზოვანი და პოლიგონური ფენების სახით, რომელიც შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო გეოდეზიურ

კოორდინატთა სისტემაში, კერძოდ WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში, 37 ზონა), ისე დედნის სახით.

**2<sup>3</sup>.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური განცხადების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაციიდან 05 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში აცნობებენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს სამუშაოების წარმოების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, კერძოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური, როგორც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სივრცეების მესაკუთრე, სამუშაოების წარმოების მიზანშეწონილობის თაობაზე, ხოლო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებული კომუნიკაციებიდან გამომდინარე სამუშაოების წარმოების მიზანშეწონილობის თაობაზე (დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ორივე სამსახური უფლებამოსილია დაადგინოს სამუშაოების წარმოების პირობები).

**2<sup>4</sup>.** ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში სამშენებლო ობიექტების განთავსებისათვის მშენებლობის ნებართვის მისაღებად (I კლასის ობიექტებისათვის - დაგეგმილი მშენებლობის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურებისათვის) წარმოდგენილი განცხადება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღებამდე (მაგრამ არაუმეტეს განცხადების რეგისტრაციიდან 05 (ხუთი) სამუშაო დღისა) ითვლება ხარვეზიანად, ხოლო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში იღებს გადაწყვეტილებას მშენებლობის ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ (I კლასის ობიექტებისათვის - დაგეგმილი მშენებლობის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების ან დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ), სადაც ასახული უნდა იყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ დადგენილი სამუშაოების წარმოების პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“.

**ბ)** ბრძანებას მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4<sup>1</sup> პუნქტი:

„4<sup>1</sup>. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ სამშენებლო ობიექტებში იგულისხმება მხოლოდ ხაზობრივი ნაგებობები.“.

**2.** წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

**3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

**4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი